სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანოს - სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს

სხდომის ოქმი

N01

12 ნოემბერი 2025 წელი

სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანოს - სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს სხდომის

სარეგისტრაციო ფურცელი

12.11.2025 წელი

სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს წევრები:

1) ჯონი ნადირაძე - წმ. დავით აღმაშენებლის სახელობის საკათედრო ტაძრის კომპლექსის მშენებლობის ხელმძღვანელი -

2) შოთა ადეიშვილი - შ.პ.ს. ,,შოთა ადეიშვილის" დირექტორი -

3) ნუგზარ მიქაძე - დიდი ჯიხაიშის პროფესიული კოლეჯის დირექტორის მოადგილე -

4) თინათინ ხარძიანი - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს-ქალაქ სამტრედიის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი -

5) ვენერა ოდილავაძე – სსიპ ქალაქ სამტრედიის №3 საჯარო სკოლის დირექტორი -

6) ლუარა კახიანი – შ.პ.ს ,,ჯეოჰოსპიტალსის" სამტრედიის ამბულატორიული ცენტრის მენეჯერი -

7) თამაზ ნიკურაძე – შ.პ.ს ,,სამტრედიის მაცნეს" ტექნიკური მენეჯერი -

8) პავლე ხაჩატუროვი - მეწარმე –

9) ნინო შარაშენიძე - არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის განვითარების ორგანიზაციის" სამტრედიის კოორდინატორი -

10) თამაზ მურღულაია – არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,სამტრედიელის" ხელმძღვანელი -

11) ია კოპალეიშვილი - შ.პ.ს. ,,არგოს" დირექტორი -

12) ნუგზარ ჩაჩუა - შ.პ.ს. ,,მყინვარის" დამფუძნებელი -

დამსწრე პირები :

1. დავით ბაღდავაძე -სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი -

2. ია ხოშტარია - სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული სამსახურის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი -

3. ბეჟან გეგეშიძე - სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი -

4. მედეა ლეჟავა - სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის საბიუჯეტო დაგეგმვისა და საფინანსო ზედამხედველობის განყოფილების უფროსი -

5. მაკა სეხნიაშვილი - სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის საბიუჯეტო დაგეგმვისა და საფინანსო ზედამხედველობის განყოფილების, მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი -

სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანოს - სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს სხდომის ოქმი

N01

ქ. სამტრედია 12 ნოემბერი 2025 წელი

მიმდინარე წლის 12 ნოემბერს ჩატარდა სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანოს - სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს სხდომა, სხდომას თავმჯდომარეობდა სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერი დავით ბახტაძე.

სხდომას ესწრებოდნენ სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს წევრები:

1) ჯონი ნადირაძე - წმ. დავით აღმაშენებლის სახელობის საკათედრო ტაძრის კომპლექსის მშენებლობის ხელმძღვანელი ;

2) შოთა ადეიშვილი - შ.პ.ს. ,,შოთა ადეიშვილის" დირექტორი ;

3) ნუგზარ მიქაძე - დიდი ჯიხაიშის პროფესიული კოლეჯის დირექტორის მოადგილე -;

4) თინათინ ხარძიანი - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს-ქალაქ სამტრედიის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი ;

5) ვენერა ოდილავაძე – სსიპ ქალაქ სამტრედიის №3 საჯარო სკოლის დირექტორი ;

6) ლუარა კახიანი – შ.პ.ს ,,ჯეოჰოსპიტალსის" სამტრედიის ამბულატორიული ცენტრის მენეჯერი -

7) თამაზ ნიკურაძე – შ.პ.ს ,,სამტრედიის მაცნეს" ტექნიკური მენეჯერი ;

8) პავლე ხაჩატუროვი - მეწარმე ;

9) ნინო შარაშენიძე - არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის განვითარების ორგანიზაციის" სამტრედიის კოორდინატორი ;

10) თამაზ მურღულაია – არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,სამტრედიელის" ხელმძღვანელი ;

11) ია კოპალეიშვილი - შ.პ.ს. ,,არგოს" დირექტორი ;

12) ნუგზარ ჩაჩუა - შ.პ.ს. ,,მყინვარის" დამფუძნებელი ;

დამსწრე პირები :

1. დავით ბაღდავაძე -სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი ;
2. ია ხოშტარია - სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული სამსახურის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი ;

3. ბეჟან გეგეშიძე - სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი ;

4. მედეა ლეჟავა - სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის საბიუჯეტო დაგეგმვისა და საფინანსო ზედამხედველობის განყოფილების უფროსი ;

5. მაკა სეხნიაშვილი - სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის საბიუჯეტო დაგეგმვისა და საფინანსო ზედამხედველობის განყოფილების, მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ;

დღის წესრიგი:

2026 წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვა.

განხილვა:

სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერმა დავით ბახტაძემ, სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს წარმოუდგინა 2026 წლის ბიუჯეტის პროექტი.

დავით ბახტაძემ სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2026 წლის მთლიანი შემოსულობების საპროგნოზო მაჩვენებელი განსაზღვრულია 30,439.4 ათასი ლარის ოდენობით, რაც წინა წლის დამტკიცებული მთლიანი შემოსულობების ოდენობაზე 2,254.1 ათასი ლარით მეტია.

2026 წლის პროგნოზით სამტრედიის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები ნომინალურ გამოხატულებაში 27,587.0 ათას ლარს შეადგენს. 2025 წლის დამტკიცებულ გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით 2026 წლის საგადასახადო შემოსავლების პროგნოზი იზრდება 1,967.6 ათასი ლარით (7.68%-ით). მათ შორის:

- **დამატებული ღირებულების** გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 24,087.0 ათასი ლარით;

2025 წლის დამტკიცებულ გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით დღგ გაზრდილია 6.96%-ით (1,567.6 ათასი ლარით). აღნიშნული მოცულობით ზრდა გამოწვეულია მიმდინარე წელს, დაგეგმილზე მაღალი ეკონომიკური ზრდის შედეგად მოსალოდნელი გადაჭარბების და მომდევნო წელს ეკონომიკის ნომინალური ზრდის ფისკალური ეფექტებით;

- **ქონების** გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი შეადგენს 3,500.0 ათას ლარს;

2025 წლის დამტკიცებულ გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით ქონების გადასახადი 12.9%-ით (400,0 ათასი ლარით) იზრდება.

გრანტების სახით დაგეგმილი მაჩვენებლები განისაზღვრება 312.6 ათასი ლარის ოდენობით.

ადგილობრივი შემოსავლები განსაზღვრულია 2,000.0 ათასი ლარის ოდენობით, რაც წინა წლის დამტკიცებულ მაჩვენებელთან შედარებით (1,320.0 ათასი ლარი) 680.0 ათასი ლარით მეტია.

არაფინანსური აქტივების კლებიდან მიღებული შემოსავალი განისაზღვრა - 539.8 ათასი ლარით.

აღნუშნული ზრდა გადანაწილდა შემდეგ პრიორიტეტულ მიმართულებებზე:

1. ინფრასტრუქტურის განვითარების მიმართულებით დაფინანსება შეადგენს 4,191.0 ათას ლარს, მათ შორის:

- **გზების, ხიდების, ბოგირების და ინფრასტრუქტურის სხვა ღონისძიებების** დაფინანსება შეადგენს 1,542.5 ათას ლარს;
- **ბინათმშენებლობის** დაფინანსება შეადგენს - 955.0 ათას ლარს;
- **წყლის სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლოატაციის** დაფინანსება შეადგენს - 80.0 ათას ლარს;
- **გარე განათების რეაბილიტაცია და ექსპლოატაციის** დაფინანსება **შეადგენს** - 1,320.0 **ათას ლარს;**
- **საკადასტრო რუქების** და **საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადების** დაფინანსება შეადგენს - 7.0 ათას ლარით;
- **სკვერების მოწყობა** და **კეთილმოწყობის სხვა ღონისძიებების** დაფინანსება **შეადგენს** - 132.0 **ათას ლარს.**
- **სოფლის მეურნეობის განვითარების** დაფინანსება შეადგენს - 154.5 ათას ლარს;

2. **დასუფთავების** მიმართულებით დაფინანსება განისაზღვრა 4,399.0 ათასი ლარით,

3. **განათლების** მიმართულებით დაფინანსება განისაზღვრა 5,477.5 ათასი ლარით;

4. **კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტის** დაფინანსება განისაზღვრა - 5,342.0 ათასი ლარით;

5. **ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფის** დაფინანსება განისაზღვრა 3,954.4 ათას ლარს, მათ შორის:

- საზოგადოებრივი ჯანდაცვის პროგრამების დაფინანსებაზე მიმართლია - 312.6 ათასი ლარი;
- სოციალური პროგრამების დაფინანსებაზე მიმართულია - 3,641.8 ათასი ლარი;

6. **მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯების** მიმართულებით დაფინანსება განსაზღვრულია 7,075.5 ათასი ლარის ოდენობით, რომელიც მოიცავს საჯარო მოხელეთა ანაზღაურების მარეგულირებელ კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად 2026 წელს საბიუჯეტო ორგანიზაციებში დასაქმებულთა ანაზღაურების 10%-იანი ზრდას.

სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერი: **დავით ბახტაძე**

სხდომის მდივანი: **ია ხოშტარია**